

ხორცპროდუქტების ფარსიფიკაციის 6 ფაქტი გამოვლინდა

✘ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხორცპროდუქტების ფარსიფიკაციის ფაქტზე ერთი პირი პასუხისმგებლობაში მისცეს.

უწყების ცნობით, ხორცპროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი ინდ. მეწარმე, ქაღაქ თბილისში კუსტარულად მოწყობილ საამქროში ხორცპროდუქტის, ე.წ. „სუჭუკის“ წარმოებას და რეაღიზაციას ახდენდა. პროდუქტის ეტიკეტზე, მის შემადგენლობაში მითითებული საქონლისა და ღორის ხორცის ნაცვლად, ბრადლებული წარმოების პროცესში ცხენის ხორცს იყენებდა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვარისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით

ამასთან, ქაღაქ თბილისში გატარებული ღონისძიებების შედეგად, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს სხვადასხვა კომპანიის კუთვნილი ხუთი საამქრო, სადაც სარეაღიზაციოდ მზადდებოდა ფარსიფიცირებული ხორცპროდუქტები: სოსისი, ძეხვეური და სარდელი.

ამოღებულია დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების პროდუქცია, რომელსაც ამ ეტაპზე შესაბამისი ექსპერტიზა უტარდება.